სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან ლოთოიშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	92	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 17.09.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„17“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ქეთევან ლოთიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ქეთევან ლოთიშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ქეთევან ლოთიშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **ქეთევან ლოთიშვილი** არის კეთილსინდისიერი, მონდომებული, საქმისადმი ერთგული, გამოირჩევა პაატიოსნებით, მოვალეობების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობით, სიზუსტით და კორექტულობით. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **ქეთევან ლოთიშვილს** ჩადენილი აქვს 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული სანქციები გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ქეთევან ლოთიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

ქეთევან ლოთიშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 4.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ქეთევან ლოთიშვილს *ადმინისტრაციულ სამართალში* აქვს მაღალი თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მისი გამოყენების მაღალი დონე. საქმის ფაქტობრივ გარემოებებს აძლევს სწორ სამართლებრივ შეფასებას. მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სწორი სამართლებრივ ანალიზს. სწრაფად და დამაჯერებლად შეუძლია მიღებული გადაწყვეტილებების ლოგიკური დასაბუთება. სემინარული მუშაობისას გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და კვალიფიციურად. *სამოქალაქო სამართალში* კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ვლინდებოდა მის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას. მსმენელი ყოველთვის სიღრმისეულად, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების განზოგადების ჭრილში სწავლობდა და იკვლევდა, როგორც პროცესუალურ ასევე მატერიალურ-

სამართლებრივ საკითხებს. მას აქვს მოსმენისა და რჩევა-დარიგების გააზრების უნარი. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. *სისხლის სამართალში* ქეთევან ლოთიშვილს კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებული და არგუმენტირებულია, გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

ქეთევან ლოთიშვილთან გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე უმეტესწილად სწორად განმარტა დასმული შეკითხვების დროს წამოჭრილი სამართლებრივი საკითხები.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ცამეტწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით, რასაც წარმატებით იყენებს პროფესიულ საქმიანობაში, მას შეუძლია სამართლებრივი საკითხების ღრმად გააზრება და მიღებული გადაწყვეტილების ჯეროვნად დასაბუთება.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ქეთევან ლოთიშვილი მეტყველებს გამართულად, აქვს აზრის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბების უნარი, შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატს გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა, მას შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება გასაგები ენით, წერილობით ჩამოაყალიბოს. ასევე, მის მიერ მომზადებული

გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული, პუნქტუალური, გამოირჩევა სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით და სამუშაოს შესრულების სწორად დაგეგმვით.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ქეთევან ლოთიშვილს ახასიათებს სიახლეების მიმართ ღიაობა, გამოირჩევა სწრაფი თვითგანვითარების უნარით, ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

- კანდიდატმა 2014 წლის 27 სექტემბერს ჩაბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი;

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **ქეთევან ლოთიშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი, შეუძლია ახალი წინადადებების და იდეების წამოყენება. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2017 წელი;
- გადაწყვეტილების დასაბუთება და ნორმის განმარტება - GIZ – 2018 წელი;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) - 2021 წელი;
- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2023 წელი და სხვა.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ქეთევან ლოთიშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ქეთევან ლოთიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **92** (ოთხმოცდა თორმეტი) ქულა.

გიორგი გზრბავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი